

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიიაში მოხილვის პროცესი ბრძოლაში

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები მერიიაში სოციალური სამსახურის უფროსის შტატის გაუქმების წინააღმდეგ იყვნენ

ალიონი. გასულ პარასკევს, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგობის განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ მერიის მიერ წარმოდგენილი პროექტი განიხილეს.

პროექტი მერიის იურიდიული სამსახურის უფროსმა ლაშა თვაკიძემ წარმოადგინა.

– ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში „საჯარო სამსახურის შესახებ, საქართველოს კანონის თანახმად, შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე ხორციელდება მობილობის პროცესი. შეიცვალა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ცალკეული სტრუქტურული ერთეულის ინსტიტუციური მოწყობა. ადგილი ჰქონდა შტატების გადაადგილებას.

ამჟამად ჩვენი პროექტით მერია წარმოდგენილია ოთხი პოლიტიკური თანამდებობის პირით, 9 სამსახურითა და 30 განყოფილებით. სულ დასაქმებულია 134 თანამდებობის პირი. ამის გარდა, ქ. ოზურგეთში, დაბესა და სოფლებში არის მერიის 80 წარმომადგენელი და თანამშრომელი, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულია 20 პირი.

ეროვანიზაციის შედეგად გაუქმდა სოციალურ საკითხთა და ჯანდაცვის სამსახური, რომელიც განყოფილებად ჩამოყალიბდა და შერწყმის შედეგად იქნება განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური.

ეროვანიზაციის შედეგად არ იგეგმება არანაირი შტატების შემცირება ან რანგების ცვლილება. ასევე საშტატო ნუსხას ემატება 5 საშტატო ერთეული, შეიქმნება ზედამხედველობის სამსახური ეს ისეა განსაზღვრული, რომ ეფექტური მუშაობა გარანტირებული იყოს, - განმარტა ლაშა თვაკიძემ.

საკრებულოს ბიუროს სხდომისაგან განსხვავებით, ფრაქცია „ქართული ოცნების“ დეპუტატებს საკითხის გარშემო პოლემიკა არ გაუმატათ. მხოლოდ ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები აქტიურობდნენ.

– ვისაც რაიმე პრობლემა აქვს, მერიაში სოციალურ სამსახურს მიმართავს. იგი ერთ-ერთი ყველაზე შრომატევადი დატვირთული სამსახურია მუნიციპალიტეტის მერიაში. რამ განაპირობა ამ სამსახურის შერწყმა სხვა სამსახურთან? – დასვა კითხვა სოფელ ჭანიეთის მაჟორიტარმა დეპუტატმა დავით მჭავანაცემ.

– გარდა მედიკამენტების პროგრამისა, ყველა კორესპონდენცია განსაზღვრულ ვადებშია განხილული. მიუხედავად იმისა, რომ კარგა ხანია სოციალურ და ჯანდაცვის სამსახურს არ ჰყავდა უფროსი, ეს სამსახური უფრო ეფექტურად და სწრაფად მუშაობს, – უპასუხა მერიის მოადგილე ირაკლი სირაძემ.

– სერვისს რომ ვერ გავაუმჯობესებთ, ამაში ვერ დავეთანხმებით.. ხალხი დღის განმავლობაში რიგებში იდგას? – შეეპასუხა ირაკლი სირაძეს



►►► 83-5



ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ე ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ზ ე თ ი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ე ვ - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ზ ე თ ი .
 ყოველკვირეული გამოშვება. № 42 (10335) 2 ღამეობაში, 2019 წ. შპსი 60 თეთრი.

გაზეთი გამომცემი
1931 წლის 5 იანვრიდან

სოფელ ბაღა დვანაში სოციალური საწარმოები გაიხსნა



ალიონი. „ყოფილი პატიმრების, პატიმართა ოჯახებისა და პრობაციონერების მხარდაჭერის პროგრამის“ ფარგლებში გურიის ახალგაზრდულმა რესურსცენტრმა ორი სოციალური საწარმო შექმნა-გრაფიკისა და ქაღალდის პარკების წარმოების საამქრო, რომლებიც ყოფილი პატიმრების პატიმართა ოჯახის წევრებისა და პრობაციონერების დასაქმებას უზრუნველყოფს.

ართა ოჯახის წევრებისა და პრობაციონერების იურიდიულ დახმარებას, პროფესიული უნარჩვევების გაძლიერებას, განათლებისა და დასაქმების ხელშეწყობას, საოჯახო ბიზნესის (მცირე საწარმო) ჩამოყალიბება-განვითარებას, სამედიცინო დახმარებას და სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო-ღონისძიებებში აქტიურ ჩართულობას. პროექტის შედეგების პრეზენტაცია ოზურგეთის ჩარიულობის ცენტრში გაიმართა, რომელიც პროექტის კოორდინატორმა გურიაში **თამარ ღლონტმა** წარმოადგინა.

გარდა გურიისა, აღნიშნული პროექტი „დემოკრატიის ინსტიტუტის“ მიერ პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად აჭარაში, სამეგრელო ზემო სვანეთსა და იმერეთში ხორციელდება. პროექტით გათვალისწინებული საქმიანობები ასევე გულისხმობს პატიმრების, პატიმ-

არა აღნიშნული პროექტის მიღწევებზე სამიზნე რეგიონებში **ნინო ზაჩიძე** ისაუბრა. სიტყვებით გამოვიდნენ: ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩია**, გურიის გუბერნატორის მოადგილე **ქეთი მისწრაფიშვილი**. სოციალური საწარმო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაღა დვანაში გაიხსნა.

სოფელი გურიანთა – დღევანდელი ქართული სოფლისთვის დამახასიათებელი პრობლემებითა და თვალში საცემი სასიკეთო კვრებით

თემურ მარშანიშვილი

ჩვენი რუბრიკის მორიგი გაჩერებაა **გურიანთა** – გურიის ერთ-ერთი უძველესი სოფელი, რომელსაც ისტორიკოსები ქვეყნადაც კი მოიხსენიებენ. შორეულ თუ ბოლოდროინდელ უამთა ქართველებს ვერც ეს სოფელი გაექცა და ლოგიკურია, რომ აქ წარმოქმნილი პრობლემები თითქმის იდენტურია ტიპური დასახლებული პუნქტების პრობლემებისა და ერთ დროს ეკონომიკურად ძალიან მძლავრი გურიანთა დღეს მთლად სახარბიელოდ ვერ გამოიყურება, მეტადრე სოციალური მდგომარეობით. ეს ჩვენი თვალი დანახული, თორემ გურიანთელი კაცი სტუმართან რომ თავის სოციალურ გასაჭირზე არ აწუწუნებდა, ეს საყოველთაოდ ცნობილია.



სანამ წინამდებარე წერილით ძირითადი თემების გაშუქებას შევუდგებოდე, აქვე გეტყვით, რომ მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენელმა გურიანთის ტერიტორიულ ერთეულში **გია ფასიშვილმა**, ოჯახური მდგომარეობის გამო, 28 ნოემბერს ვერ მიახერხა ჩვენთან შეხვედრა.

გურიანთის მაჟორიტარი დეპუტატის **მაია ზოიძის** თქმით, სოფლისთვის უმთავრესი პრობლემა უწყობაა. სოფლის კომუნისტებისდროინდელი წყალსადენი კარგა ხანია, ისე აღორქვდა, რომ ჟანგის რკინის მილის ნაჭერიც აღარ შემორჩა „ნაშთად ძველის დიდებისა“. მას შემდეგ სოფელი ინდივიდუალური ჭვებით და საკარმიდამოებში არსებულ ე. წ. „საცეცხეთა“, რის

ვაივაგლანით, ართმევს თავს ამ სასიცოცხლო მნიშვნელობის პრობლემას.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გიორგი ლურჯუშვილის ინფორმაციის მოშველიებით, მაია ზოიძე გვეუბნება, რომ შედგენილია და შესაბამის უწყებაში გადაგზავნილია 10 მილიონი ლარის მოცულობის ახალი წყალსადენის პროექტი, რომლის

განხორციელებით სასმელი წყლით უზრუნველყოფილი იქნება როგორც გურიანთა და გურიანთის თემში შემავალი სოფელი ციხისფერდი, ისე მეზობელი სოფელი ბაილეთი. თუმცა, აქვე დასძენს, რომ საბოლოოდ დამტკიცებამდე ეს მხოლოდ პროექტის პროექტია.

მაჟორიტარი დეპუტატი

►►► 83-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

- მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;
- მე-3-7 (თითოეული 810 კვ.სმ) მთლიანი გვერდებისა - 150-150 ლარი;
- 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;
- ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;
- შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.
- პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;
- მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;
- სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;
- განხილვა, ნეკროლოგი - სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საკალო ფასი: 60 თეთრი, ხელმოწერა: ერთი თვით - 2,40 ლარი, სამი თვით - 7,20 ლარი, 6 თვით -14,40 ლარი, ერთი წლით - 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს. ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე. რედაქციაში აუდიონაწარები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება. რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარეკლამო მომსახურება
რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani@rambler.ru
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ებისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამოცემლობა „მერიდიანში“
მის: თბილისი, ვ. ბაგრატიონის ქ. №77

დაინყეთ ყოველი ოჩხაბათი აციონზე
«ალიონი»

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიაში მოხილვის პროცესი ბრძოლაში

ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრები მერიაში სოციალური სამსახურის უფროსის შტაბის გაუქმების წინააღმდეგ იყვნენ

დავით მჭავანაძე.
- ვფიქრობ, ეს სამსახური ცალკე უფრო ეფექტური იქნებოდა, ვიდრე ეს შერწყმით იქნება. ჩვენთვის არაა ეს დამაჯერებელი არგუმენტები, ჩვენი ფრაქცია ამ თემის მხარს არ დაუჭერს - განაცხადა ასევე ფრაქცია „ნაციონალურის“ წარმომადგენელმა, დაბა ნასაკირალის მაჟორიტარმა დეპუტატმა **ბესო ქათამაძემ**.

- ჩვენ შენიშვნები გვქონდა ამ პროექტის მიმართ. მაღლობა ლაშა, ამჯერად თქვენ ამომწურავი პასუხი გაეცით, რა ეკონომიკური ეფექტი ექნება ამ მობილობის პროცესს. რეფორმას ჩვენ მივესალმებით, რომელიც ხშირად ვილაცის ინტერესს აზიანებს, მაგრამ მე დღეს კმაყოფილი ვარ თქვენი პასუხებით. მერიამ მომდევნო წლის ბოლოს უნდა მოგვცეს 2019 და 2020 წლის მაჩვენებლები, რომელიც გვაჩვენებს რა შედეგი მოგვცა ამ რეფორმამ. - განაცხადა ინფრასტრუქტურისა

და სივრცით-დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარე **ლავრენტი ბიგვაძემ**.
წინა დღით, საკრებულოს ბიუროს სხდომაზე უფრო კრიტიკული გახლდათ საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, ოურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **ეროდი გორდელაძე**.

- როცა სოციალური სამსახურის უფროსი ვთავაზობდით აღნიშნული თანამდებობიდან, მან მიმართა სასამართლოს. თუ სასამართლომ ის ალაღვინა, რა მოხდება იმ შემთხვევაში, როცა რეორგანიზაციის მიხედვით, ეს სამსახური უკვე გაუქმებული იქნება და კულტურის სამსახურთან იქნება გაერთიანებული?
- დაუსვა მან კითხვა ლაშა თავაძეს.

ლაშა თავაძემ უპასუხა, რომ თუ დეპუტატმა სასამართლო პროცესს მოიგებს, მაშინ მერია ვალდებული იქნება მას ტოლფასი თანამდებობა შესთავაზოს. სხდომაზე კი გორდელაძემ მოუწოდა მერიას, რომ წავიდეს



მოუშობა ისე, მოსახლეობა არ დაზარალდეს. გადაწყვეტილების მისაღებად კენჭისყრაში 31 დეპუტატმა მიიღო მონაწილეობა. წინააღმდეგ ხმა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური

მოძრაობის“ დეპუტატებმა დავით მჭავანაძემ და ბესო ქათამაძემ მისცეს. საკრებულოს სხდომაზე ასევე მუნიციპალიტეტის მერიის და 7 სამსახურის დეპუტატები დაამტკიცა.

2020 წლიდან საბავშვო ბაღებში ხელფასი 50 ლარით მოიმატებს

ალიონი. 26 ნოემბერს, ეროვნულ-დემოკრატიულმა ინსტიტუტმა (NDI) ოზურგეთის ფოლკლორის ცენტრში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვა გამართა.

ბიუჯეტის პროექტი მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო განყოფილების უფროსმა **პაველ ჭყონიამ** წარმოადგინა.

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით ა (ა) იპ „ოზურგეთის სკოლა“ მდელი აღზრდის ცენტრის დაფინანსება 2020 წლის ბიუჯეტის პროექტით 4 530 000 ლარითაა განსაზღვრული.

დისკუსიის დაწყებისას გაზეთმა „ალიონმა“ დასვა კითხვა, თუ რატომ ემატებოდათ სკოლამდელი აღზრდის აღმზრდელებს მხოლოდ 50 ლარი, როცა მუნიციპალიტეტი კარგა ხანია აცხადებდა სკოლამდელელებში ხელფასის 100 ლარით მატებას.

პაველ ჭყონიამ „ალიონს“ გასცა პასუხი, რომ მათ ეკონომიის ხარჯზე 500 ათას ლარზე მეტი გამოყვეს ხელფასების ყველა თანამშრომლის მომატებისთვის, ხოლო მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **გია მამაკაიშვილმა** განმარტა, ამ ეტაპზე ხელფასის მატების წინააღმდეგი ფინანსთა სამინისტრო წავიდა, რადგან სექტემბრიდან საბავშვო ბაღების აღმზრდელ-მასწავლებლებს 100 ლარით უნდა გაეზარდოთ ხელფასი, რასაც დაახლოებით 800 000 ლარი დასჭირდება. ისინი 1 იანვრიდან საბავშვო ბაღის არა მარტო აღმზრდელებს, არამედ სხვა პერსონალსაც გაუზრდიან ხელფასს 50 ლარით. მასწავლებელთა ხელფასის დამატებითი ზრდა გამოცდების გავლის შემდეგ მოხდება.

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით დარჩიამ** თქვა, რომ „სამწუხაროდ, ამ ეტაპზე დაგეგმილია



ხელფასის მხოლოდ 50 ლარით მატება. მოგვიანებით, განხილვაზე მოსულმა მუნიციპალიტეტის მერმა **კონსტანტინე შარაშენიძემ** აღნიშნა, რომ წინა წლებში, ისევე როგორც მუნიცი-

პალიტეტის სოფლების გამგეობის, ისე ქ. ოზურგეთის მერიის მიერ ხდებოდა საბავშვო ბაღებში საშტატო ნუსხის გადაშტატება, რამაც განაპირობა ამ ეტაპზე ხელფასების მხოლოდ 50 ლარით მატება.

გურიის მხარის სახელმწიფო რეზერვულა ზურაბ ნასარაიამ, ოზურგეთის მერიის მოადგილე ოსიპო თოთიბაძესთან ერთად, მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული სამუშაოები



ქალაქ ოზურგეთში მრავალსართულიანი საცხოვრებელი ბინის სახურავის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. სამუშაოები სახელმწიფო ბიუჯეტიდან 74 746 ლარით ფინანსდება.

სოფელ კვირიკეთში მდინარე ბუჟუის გასწვრივ, იპოდრომთან, გაბიონის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს, რომელიც სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება. პროექტის ღირებულება 584 989 ლარს

შეადგენს. სენაკი-ფოთი-სარფის საერთაშორისო მნიშვნელობის გზიდან, ეკალდი-დონაურის გავლით ნატანების ცენტრალურ გზამდე დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები აქტიურ ფაზაშია. სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2 358 999 ლარით ფინანსდება.

ქალაქ ოზურგეთში, წერეთლის ქუჩაზე, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის მშენებლობის სამუშაოები აქტიურ ფაზაშია. პროექტი, რომლის ღირებულებაც 368 485 ლარს შეადგენს, ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება.

ქალაქ ოზურგეთში ბაქრაძის ქუჩაზე მდებარე მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოები მიმდინარეობს, რომელიც ადგილობრივი ბიუჯეტიდან ფინანსდება. პროექტის ღირებულება 62 826 ლარს შეადგენს.

სოფელ ოზურგეთში კულტურის სახლის რეაბილიტაცია მიმდინარეობს. სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან 1 268 739 ლარით ფინანსდება.

საჯავახო-ჩოხატაური-ოზურგეთი-ქობულეთის საავტომობილო გზის 42-ე კმ-ზე მდ. ნატანებზე არსებული ხიდის რეაბილიტაცია დასრულდა. პროექტის ფარგლებში, არსებული ხიდის სრული რეაბილიტაცია განხორციელდა. აღნიშნული სამუშაოები საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 950 000 ლარით დაფინანსდა.

სოფელი

გურიანთა – დღევანდელი ქართული სოფლისთვის დამახასიათებელი პრობლემებითა და თვალში საცემი სასიკეთო კვრებით



მიიჩნევს, რომ სოფელში აუცილებელია ახალი საბავშვო ბაღის შენობის აგება, რადგან არსებული არატიპურია და ვერ პასუხობს შესაბამის სტანდარტებს:

„ახალი საბავშვო ბაღის აგება აუცილებელია და ეს რაც შეიძლება მალე უნდა მოხდეს. არსებული შენობა არატიპურია და ვერ პასუხობს შესაბამის სტანდარტებს.



გეცოდინებათ. წლებანდელი სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი აქ ერთი კვირის დაგვიანებით დაიწყო. ახალი შენობის აგება გადაუდებელ ამოცანათა რიგს განეკუთვნება, სკოლამდელი ასაკის სააღმზრდელო დაწესებულებათა ინფრასტრუქტურა ყოველთვის პრიორიტეტული უნდა იყოს.“

გურიანთის საბავშვო ბაღში ადრეც ვყოფილვართ და არც გაგვიკვირვებია, რომ აქ სასწავლო-სააღმზრდელო პროცესის მაღალი კულტურაა, შედეგად შესაბამისია, რაც უპირველესად, აღსაზრდელების ქცევასა და ქმედებაში იკითხება. მენეჯერი ნინო ზაფხიაძე ადგილზე არ დაგვიხვდა, ოზურგეთში, სკოლამდელთა სააღმზრდელო ცენტრში წასულიყო. პერსონალისგან გავიგეთ, რომ კარგა ხანია არ მუშაობს არტეზიული ჭა და ტექნიკურ წყალს აქვე არსებული ჭიდან იღებენ, ხოლო ბავშვთა კერძების მოსამზადებლად ცენტრის მიერ შექმნილ და ჩამოტანილ სასმელ წყალს იყენებენ. იმავე დღეს ბაღის ქალბატონმა ნინომ რედაქციაში შემოგვიარა. დაგვიდას-

ტურა, რომ სახურავი მართლაც უხარისხოდ გადაიხურა, მაგრამ ახლა ყველაფერი რიგზეა, გვითხრა, რომ სიმართლეს შეესაბამება არტეზიული ჭის უმოქმედობაც, მიესალმება იმ ფაქტს თუ ახალი შენობა აიგება. მზადყოფნა გამოთქვა სხვა შეკითხვებზეც პასუხის გასაცემად.

სოფლის ცენტრში მიმდინარეობს ამბულატორიის მშენებლობა, რაც

როგორც მათა ზოიძემ გვითხრა, გურიანთის ტერიტორიაზე ლიცენზიების ვადის ამოწურვის გამო, შეწყვეტილია ქვიშა-ხრემის მომპოვებელი კარიერების მუშაობა, მხოლოდ ქვის სამტრეველი საამქრო მუშაობს.

ცნობილია, რომ აქ მდინარე ნატანებმა ყოფილი მეცხოველეობის ფერმის მიმდებარე ტერიტორიაზე რამდენიმე ოჯახს წაართვა საყანე ფართობები, რამაც შესაბამისად ამ ოჯახებს შეუქმნა ეკონომიკური პრობლემები. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მერის, ბატონი კონსტანტინე შარაშენიძის ძალისხმევით უკვე გამოიყო 1,3 მილიონი ლარი და აქტიურად მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები, რომელშიც ნაწილობრივ გაზოკმანიაც არის ჩართული.

დეპუტატმა გვითხრა, რომ სოფელში ყველაზე მტკივნეული და, აქედან გამომდინარე, ყველაზე პრიორიტეტულია სოციალური თემა: „უძძიძეს სიტუაციაში იყო მიღენა ბარამიძის ოჯახი. ქალბატონ მილენას, ამავე დროს, ჯანმრთელობის პრობლემაც ჰქონდა. გარკვეული მიზეზების (ოჯახის წევრის მიერ ხანმოკლე სამუშაოს შესრულებისთვის დარიცხული ერთჯერადი ანაზღაურება) გამო, ოჯახს მოეხსნა სოციალური დახმარება. დავაწერინეთ განცხადება, ხელახლა შეისწავლეს ოჯახის მდგომარეობა და აღუდგინეს დახმარება. ანალოგიურ სიტუაციაში აღმოჩნდა 4-5 ოჯახი, რომელთაც ასევე დავაწერინეთ განცხადება და ვიმედოვნებთ, რომ მათთვის დახმარების აღდგენის საკითხი დადებითად გადაწყდება.“

სამშენებლო და სახურავი მასალებით დახმარება გაეწია ნონა გოგოლაურის, ნუნუ მელიქიძისა და

იმას ნიშნავს, რომ აქაურ მედპერსონალს საშუალება ექნება, თანამედროვე სტანდარტებით მოემსახუროს ადგილობრივ პაციენტებს. აქვე შეიძლება ეზო და პრაქტიკულად დამთავრდა პარკის კეთილმოწყობითი სამუშაოები. სამშენებლო სამუშაოების გაჭიანურება განაპირობა მიწის ნაკვეთის ეკონომიკის სამინისტროდან მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემა.

წინააღმდეგ შემთხვევაში, კულტურის სახლის არათუ ფუნქციონირება, შენარჩუნება გაჭირდება.

გურიანთელები წიგნიერი ხალხია. სოფლის ადმინისტრაციულ შენობაში მალე განაახლებს მუშაობას ბიბლიოთეკა, რომელიც ავბედით წლებში თითქმის მთლიანად გაპარტახდა. მზადაა ოთახი, მიმდინარეობს წიგნადი ფონდის შევსებისა და დაკომპლექტების სამუშაოები. რომელსაც ახალგაზრდა ბიბლიოთეკარი ხელმძღვანელობს.

გადაწყვეტილია და უკვე დააფინანსეს გურიანთის საჯარო სკოლაში ბუნებრივი აირით გათბობის მოწყობის სამუშაოები.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში ციხისფერდში გაკეთდა სამი ერთეული არტეზიული ჭა, რითაც ნაწილობრივ გადაიჭრა წყლის პრობლემა.

დააგეგმილია ციხისფერდის საბაზო სკოლიდან გურიანთის ცენტრამდე გზის მოაფალტება, რომელიც საგარეუდოდ 2020 წლისთვის უნდა დამთავრდეს. ასევე დაგეგმილია ე. წ. „აჭარის უბანში“ რთულ მონაკვეთზე ბეტონის საფარიანი გზის დაგება, ამავე უბანში არსებული ხიდის რეაბილიტაცია, რაც უახლოეს პერიოდში განხორციელდება.

როგორც მათა ზოიძემ გვითხრა, გურიანთის ტერიტორიაზე ლიცენზიების ვადის ამოწურვის გამო, შეწყვეტილია ქვიშა-ხრემის მომპოვებელი კარიერების მუშაობა, მხოლოდ ქვის სამტრეველი საამქრო მუშაობს.

ცნობილია, რომ აქ მდინარე ნატანებმა ყოფილი მეცხოველეობის ფერმის მიმდებარე ტერიტორიაზე რამდენიმე ოჯახს წაართვა საყანე ფართობები, რამაც შესაბამისად ამ ოჯახებს შეუქმნა ეკონომიკური პრობლემები. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მერის, ბატონი კონსტანტინე შარაშენიძის ძალისხმევით უკვე გამოიყო 1,3 მილიონი ლარი და აქტიურად მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები, რომელშიც ნაწილობრივ გაზოკმანიაც არის ჩართული.

დეპუტატმა გვითხრა, რომ სოფელში ყველაზე მტკივნეული და, აქედან გამომდინარე, ყველაზე პრიორიტეტულია სოციალური თემა:

„უძძიძეს სიტუაციაში იყო მიღენა ბარამიძის ოჯახი. ქალბატონ მილენას, ამავე დროს, ჯანმრთელობის პრობლემაც ჰქონდა. გარკვეული მიზეზების (ოჯახის წევრის მიერ ხანმოკლე სამუშაოს შესრულებისთვის დარიცხული ერთჯერადი ანაზღაურება) გამო, ოჯახს მოეხსნა სოციალური დახმარება. დავაწერინეთ განცხადება, ხელახლა შეისწავლეს ოჯახის მდგომარეობა და აღუდგინეს დახმარება. ანალოგიურ სიტუაციაში აღმოჩნდა 4-5 ოჯახი, რომელთაც ასევე დავაწერინეთ განცხადება და ვიმედოვნებთ, რომ მათთვის დახმარების აღდგენის საკითხი დადებითად გადაწყდება.“

სამშენებლო და სახურავი მასალებით დახმარება გაეწია ნონა გოგოლაურის, ნუნუ მელიქიძისა და




მზია დუმბაძის სოციალურად შეჭირვებულ ოჯახებს. ქალბატონ ნუნუს წინა ხელისუფლებაც დაეხმარა სახურავი მასალით.“

უკვე სოფლის ერთგვარ სავიზიტო ბარათად იქცა ღვითისმშობლის შობის სახელობის მონოლითურად აგებული ეკლესია, რომლის მოსაპირკეთებელი სამუშაოები მალე დაიწყება საჩუქრად ჩამოტანილი ხეკორძისა და ნიჩბისის ქვის ფილებით. ღვითშობლობაზე ეკლესიის ინტერიერში პირველი წირვაც ჩატარდა, რომელსაც მრევლთან ერთად, მშენებლობის დამფინანსებელი, სოფლის მკვიდრი ბიზნესმენებიც დაესწრნენ. მამა მრამალაშვილის ლიცენზიის სურვილის გათვალისწინებით, აქვე გადაწყვიტა, რომ „გურიანთის“ დღევანდელი სოფლისთვის დამახასიათებელი პრობლემები გურიანთისთვისაა ტიპურია, თუმცა, სასიკეთო ძვრები უფრო თვალში საცემია.

ზოგადად გურიანთისთან ბევრი კარგი რამ მაკავშირებს. ამიტომ თავს უფლება მივცევი, ეს წერილი დამეთავრებინა ფრაგმენტით სასოტბო ლექსიდან, რომელიც ამ სოფელს რამდენიმე წლის წინ მივუძღვენი:

ერთი სიტყვით, დღევანდელი ქართული სოფლისათვის დამახასიათებელი პრობლემები გურიანთისთვისაა ტიპურია, თუმცა, სასიკეთო ძვრები უფრო თვალში საცემია.

ზოგადად გურიანთისთან ბევრი კარგი რამ მაკავშირებს. ამიტომ თავს უფლება მივცევი, ეს წერილი დამეთავრებინა ფრაგმენტით სასოტბო ლექსიდან, რომელიც ამ სოფელს რამდენიმე წლის წინ მივუძღვენი:



ოღა გურიანთას

ციხისფერდის ნაშალი თავს ებურა თავშალი, აქ ვერ სჭამდა ვაშლს ნარი, აქ გრგვინავდა ვაშნარი... გაბრწყინების, როგორც ვიცი, ჰქონდა მერეც შანსები, აქ მარხია გურიანთის დიდი რენესანსები... იღვრებოდა მზე ქედებად – ბაჯაღლო, თვითნაბადი, უფალს მამულს ავედრება ნაკამიდის თავადი...

ერთ დროს დიდი ქვეყნის ჩამოშლილი კალთა, მიყვარს გურიანთა, ფუტე გულიანთა!

ჰო, ზღაპარი არ არის ის, რაც იყო ძველად, ბინოკლითაც ვერ იპოვი კაცს აქ გაიძვერას. პირველი რომ სიტყვა გახლდათ, კარგად იცის ყველამ, საქმეც იცის, სიყვარულიც... უსაშველოდ, მწველად... იმ ხანიდან, იმ დროიდან, რაც მზემ ამოწვერა, აქაურთა ბრენდი არის სკურდუმი და წვერა.

საარაკო ალაგი ხალხის სულფხინათა, მიყვარს გურიანთა, ჭერი გულიანთა!

თხილი - 2019



ბოლო 3-4 წლის განმავლობაში თხილის კულტურის არსებობას

მაგნებელ-დაავადებებმა (აზიური ფაროსანა, გულის სიდაძლე) სერიოზული საფრთხე შეუქმნა განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა 2018 წლის სავეტერინარო პერიოდი, როდესაც მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა მოსავალი კატასტროფულად მცირე და უხარისხო იყო. თხილის მომხდელ გლეხმა საკუთარ საკარმიდამო ნაკვეთში ბუჩქების აჩეხვა და სანაცვლოდ კენკროვნებისა და ჩაის გაშენება დაიწყო. თუ როგორ განვითარდა მოვლენები თხილის ნარგავებში მიმდინარე 2019 წელს ამის შესახებ ჩვენს მიერ მოხდებული საინფორმაციო და ექსპერიმენტული ანალიზის მასალები მოგვითხრობს. გლობალური კლიმატური ცვლილებები ბევრ სურპრიზს უმზადებს კაცობრიობას. უპირველეს ყოვლისა იგი ადგენს ზემოქმედებას ახდენს ცოცხალ ბუნებაზე, მცენარეულობაზე, ცხოველებზე, ადამიანებზე. ჩვენ დაწვრილებით მიმოვიხილავდით კულტურულ მცენარეთა ადაპტირების, მდგრადობისა და ცვალებადობის ზოგად-ბიოლოგიურ კანონზომიერებებს წინა სტატიებში, თუმცა გამოჩალიჩი არც მიმდინარე 2019 წლის პერიოდი გახლდათ, რომელიც რბილი ზამთრით, საგაზაფხულო წაყინვებით, ცხელი გაზაფხულითა და გრილი ზაფხულით შემოიფარგლებოდა. დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკულ ზონაში საგაზაფხულო კლიმატურმა არასტაბილურობამ ხეხილოვნების, ციტრუსოვნების, მარცვლოვანი და ბოსტნეული კულტურების მოსავლიანობის კატასტროფული შემცირება გამოიწვია (აგრარული საქართველო 2019 8). იმის კითხვა, რა მდგომარეობაში აღმოჩნდა თხილის კულტურა? თხილი ხომ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის შემოსავლების ერთ-ერთ პრიორიტეტულ კულტურადაა მიჩნეული. წინა წლებში თხილზე გამოცხადებული მოთხოვნის გამო ამ კულტურის გაშენებამ ჩაის პლანტაციების სპონტანური ამოძრავის ფონზე ფართო ხასიათი მიიღო და მისმა ფართობმა 30 ათას ჰა-ს გადააჭარბა. თუმცა ბოლო წლების მანძილზე მაგნებელ-დაავადებათა მასობრივი გავრცელების შედეგად მოსავლიანობა და ხარისხი კატასტროფულად დაეცა. სანელშიფო აქტიურად ჩაება თხილისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მაგნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლაში და მოსახლეობასთან ერთად გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწია. მიმდინარე 2019 წელს თხილის მოსავლიანობა და ხარისხი გაცილებით უკეთესი აღმოჩნდა რამაც გარკვეული იმედი ჩაუსხა მოსახლეობას. იგლისის მთიანეთიდან აქტიურად დაიწყო ნედი თხილის მიღება-ჩაბარება და მთელი სავეტერინარო პერიოდის განმავლობაში თხილის ფასი ხარისხების მიხედვით 1 კგ. 2-4.5 ლარს შეადგენდა. ნიშნდობლივია ის ფაქტიც, რომ მოსახლეობა სახლებში აღარ ასაწყობებს ნედლ

თხილს, მათ ურჩევნიათ მოკრეფისთანავე გაუკეთონ მოსავლის რეალიზაცია, რადგან სპეციალური საშრობ-სახშირი აგრეგატების უქონლობის პირობებში ბუნებრივი შრობის შედეგად კი შესაძლებელია თხილის გულმა ლაობა დაიწყო, რაც ექსპერიმენტებთან დაკავშირებულია. მიმდინარე წელს თხილის შედარებით უკეთესი მოსავლიანობა და ხარისხი მრავალი ობიექტური თუ სუბიექტური პირობებითა განპირობებული. ეს პროცესი უნდა განვიხილოთ თხილის მოსავლიანობაზე და ხარისხზე მოქმედ კომპლექსურ ფაქტორთა ერთობლიობით - დაწყებული კლიმატური პირობების, პლანტაციების მოვლა-განოყრებისა და მაგნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის კონტექსტში. როგორც ვთქვამოდით თხილის პლანტაციების მასობრივი გაშენების აგროტექნიკური ფონი თავიდანვე მნიშვნელოვანი ხარვეზებით ხასიათდებოდა. უპირველეს ყოვლისა ეს გახლავთ ნაჩაარ მყვე ნიადაგებზე ქიმიური მელიორაციისა და წინასწარ განოყრების გარეშე თხილის ვიზობრივი განაშენიანების სქემა. დაბალი იყო თხილის ასაღვარდა პლანტაციების მოვლისა და განოყრების აგროტექნოლოგია. კვლევებით დადასტურებულია, რომ თხილის სრულ-მოსავლიანი პლანტაციიდან ყოველწლიურად ერთ ტონა თხილის მოსავალზე და მცენარის ზრდა განვითარებაზე ნიადაგიდან გამოიღებება 20-30 კგ აზოტი, 6-8 კგ. ფოსფორი და 14-16 კგ. კალიუმი, რომლის კომპენსაცია ყოველწლიურად სასუქების რეგულარული შეტანით უნდა განხორციელდეს.

როგორც აღვნიშნეთ სულ სხვა ვითარება დაფიქსირდა 2019 წელს. ხელი-სუფლებებისა და მოსახლეობის აქტიური მოქმედებით კალენდარულ ვალებში განხორციელდა თხილის ნარგავების შეწამლა. გაზაფხულიდანვე იგრძობოდა აზიური ფაროსანის მნიშვნელოვანი შემცირება. შეწამლამ შედეგად გამოიღო, თუმცა თხილის მოსავალს ამინდიც წაეხმარა, კერძოდ 2019 წლის მაისი და ივნისი დასავლეთ საქართველოში მშრალი და მზანი იყო. სწორედ ამ პერიოდში ერევა სიდაძლე ნაყოფს და ფოთოლს. მშრალმა და მზანმა კლიმატმა ხელი შეუწყო ნაყოფების ნორმალურ განვითარებას, თუმცა მთიანეთში იმ ადგილებში სადაც თხილის ნარგავი ნიადაგის ტენის დეფიციტს განიცდიდა-ხანგრძლივი გვალვების გამო ნორჩი ნაყოფების მოსავლა და ცვენა დაფიქსირდა. თხილის ნარგავებში გატარებული კომპლექსური ღონისძიებების მიუხედავად მოსახლეობაში არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა. ფერმერთა გარკვეული ნაწილი უკმაყოფილოა შხამქიმიკატების ვარგისიანობით, რაც ხშირად დაბალი და უხარისხო მოსავლის მიზეზი ხდება, ხოლო მეორეს მხრივ პლანტაციების მასობრივი შეწამლა არასასურველ ზემოქმედებას ახდენს ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე და ხარისხზე. ისეთივე როგორებიცაა: ბოსტნეული და სხვა ნაზი კულტურები, ასევე ხშირად შეწამლა მფრუტეობასაც აზიანებს. ამის ნათელ მაგალითს ჩვენს მიერ ანასეულის ტერიტორიაზე თხილის კერძო ბაღებში ჩატარებული ექსპერიმენტები მოწმობს: საამისოდ შერჩეული იქნა სამი მსხობიარე ნაკვეთი. ერთ მათგანში (დ. კარტოზას ბაღში) ცველა აგროტექნიკურ ღონი-

სძიებთან ერთად ჩატარდა შედეგად რადიკალური იტალიური-ფერმერის მეთოდით. მეორე ბაღში (თ. ორაველიძე) წამლობა განხორციელდა კომბინირებული მეთოდით - ხუთჯერ, ხოლო მესამე ნაკვეთი - საკონტროლო, სადაც გარდა აგროტექნიკური ღონისძიებებისა წამლობა არ ჩატარებულა. შედეგებიც ადეკვატურია: პირველ ბაღში თხილის სადი ნაყოფების რაოდენობამ 63 % შეადგინა, თუმცა აქვე დაფიქსირდა ნაადრევად თხილის ნაყოფის მასობრივი ცვენა. მეორე ბაღში სადი ნაყოფის რაოდენობა 93 %-ია, ხოლო მესამე - შეწამლულ ნაკვეთში 44 %-ი. ეს მონაცემები კიდევ ერთხელ მიუთითებს თხილის ბაღების მაღალ რეზისტენტულობაზე თითოეული აგროტექნიკური-სადმი. მარტო შეწამლა ან არშეწამლა ყოველთვის რიდი გვადიდებს ჩვენთვის სასურველ შედეგს. აღნიშნული მოსახრების განმტკიცებისათვის მოვიყვანეთ კიდევ ერთი ექსპერიმენტის შედეგს, რომელიც მიმდინარე 2019 წელს ჩატარდა ოზურეთის მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილების სპეციალისტების (ა. გირკლიძე, ა. ლლონტი) ორგანიზებით ოთხ სხვადასხვა ლოკაციაზე: სოფ. სილაური, სოფ. ბოხგური, სოფ. მაკანეთი და სოფ. გურიათა. თხილის ბაღებში სადემონსტრაციო ბაღების მოწყობა ითვალისწინებდა მეცნიერულ რეკომენდაციებზე დაყრდნობით შემუშავებული აგროტექნოლოგიური საშუალებების ჩატარებას. შერჩეულ ნაკვეთებზე წინასწარ ანასეულის ნიადაგისა და სურსათის დიფენსიური ლაბორატორიის მიერ აღებული იქნა ნიადაგის ნიმუშები. მიღებული მონაცემების საფუძველზე თითოეულ ნაკვეთზე აბრისის თვეში შეტანილი იქნა რთული კომპლექსური სასუქები (NPK) და კირის შემცველი ნივთიერებები მცენარეთა ორგანიზმში ერთი მეტრის რადიუსით 5-10 სმ. სიღრმეზე ნიადაგში ჩაკეთებით. მიღებული სავეტერინარო პერიოდში სხვა აგროტექნიკურ ღონისძიებებთან ერთად (ამონაყრების მოცილება, ნიადაგის გაფხვიერება, გაკეცვა) ტარდებოდა მაგნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ინტეგრირებული მეთოდები, რომელზედაც ზედამხედველობას ანხორციელებდა ანასეულის ლაბორატორიის წამყვანი სპეციალისტი ბიოლოგიური მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი ლამია ბერაძე. რაც მთავარია მცენარეთა შეწამლა-შესუფრება ტარდებოდა მაგნებელ-დაავადებათა გამოჩენის, განვითარების ფაზებისა და მაგნების ხარისხის მიხედვით. შედეგაც არ დააყოვნა. მოვლის კომპლექსური აგროტექნიკური ღონისძიებების ფონზე თხილის ხარისხობრივმა მაჩვენებლებმა 93-97 % შეადგინა, ხოლო საშუალო მოსავლიანობამ 1.2-1.5 ტონა. ამრიგად სადემონსტრაციო ნაკვეთებზე ჩატარებული საშუალებები კიდევ ერთხელ დადასტურებენ რაოდენ მნიშვნელოვანია თხილის ბაღებში თანმიმდევრული, გონივრული და მეცნიერულ რეკომენდაციებზე ორიენტირებული კომპლექსური ღონისძიებების გატარება საბოლოო შედეგების მისაღებად. თუმცა აქვე გასათვალისწინებელია მთელი წლის განმავლობაში თითოეულ ჰა. პლანტაციაში გაწეული შრომითი და ფულადი რესურსების მაჩვენებლებიც. ჩვენი წინასწარი გათვლებით, მაშინ როდესაც ყოველწლიურად მატულობს ფასები სასუქებზე, შხამ-ქიმიკატებზე, მუშახელზე და სხვა ერთი ჰა. სრულმოსავლიანი ბაღის მოვლა-ექსპლუატაცია 2000-2500

ლარის ფარგლებში მერყეობს. მაშინ როდესაც თხილის პროდუქციაზე არასტაბილური ჩასაბარებელი ფასების პირობებში ერთ ჰა-ზე მაქსიმალური შემოსავალი 4-5 ათას ლარს შეადგენს, ხოლო სუფთა შემოსავალი 2000-2500 ლარია, რაც ჩვენი პირობებისათვის არც თუ იხე მომგებაანია. მთხილობის დარგში არსებული ნაკლოვანებები უპირველეს ყოვლისა განპირობებულია ჯერ კიდევ სამრეწველო პლანტაციების მოვლა-პატრონობის დაბალი კულტურით და მეორე - სახელმწიფოს მხრიდან მოსავლის მიღება-ჩაბარების ნაკლები დინტერესებით. დღეისათვის ცხოვრებაში დამკვიდრდა თხილის მიღება-ანაზღაურების ე.წ. მანკირი პრაქტიკა, რაც გულისხმობს შემდეგს: ე.წ. მიმღები ბუჩქები ანუ გადამყვლები მოსახლეობისაგან მიტანილი თხილიდან იღებენ საშუალო ნიმუშს ასი ცალის ოდენობით, იქვე ტენენ და ითვლიან სადი-ვარგისი გულის რაოდენობას. თუ სადი გულის რაოდენობა ასი პროცენტია, მაშინ თხილის ერთ კგ-ში ჩამაბარებელს უხდებიან იმ მომენტისათვის დაფიქსირებულ უმაღლეს ფასს, ხოლო თუ პროდუქციაში სადი გულის რაოდენობა დაბალია შესაბამისად ფასებიც მცირდება. რაც შეეხება შესაყიდ ფასებს რა თქმა უნდა ისინი მერყეობს მთავარი მიმღები კომპანიების თუ სააქციო საზოგადოებების ნება-სურვილით. ჩვენი აზრით უზჯოებისა თხილის ჩაბარება წარმოებდეს უშუალოდ გადამამუშავებელ ქარხნებში ყოველგვარი შუამავლის ე.წ. გადამყვლების გარეშე, რაც გლეხობისათვის უფრო მომგებაანი იქნებოდა. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ თხილის მწარმოებელ რეგონებში ავეისტოს ბოლო სექტემბრის პირველ ნახევარში ნაგვანებად აკრეფილ თხილში წვიმებისა და აციების გამო ხარისხობრივი მაჩვენებლები გაუარესდა. ასეთი პროდუქციის მიღებისაგან თხილის ჩამაბარებელი ბუჩქები უარს აცხადებდა რის გამოც უამრავი ფერმერი თუ გლეხი დაზარალდა, აქედან გამომდინარე თხილის რეალიზაციის პროცესში მეტად მნიშვნელოვანია მოსავლის დროული აღება და რეალიზაცია. ამრიგად თხილის მიღება-ჩაბარების და რეალიზაციის სფერო უფრო მოწესრიგებული და ანგარიშვალდებული უნდა იყოს მოსახლეობის წინაშე.

ზემოთ მოტანილი მასალების ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია გავაკეთოთ შემდეგი ხასიათი დასკვნები:

1. უკანასკნელ წლებში თხილის ბაღებში განვითარებულმა ნეგატიურმა მოვლენებმა სერიოზული საფრთხე შეუქმნა ამ კულტურის არსებობას, თუმცა ბოლო წლებში სახელმწიფოსა და მოსახლეობის მიერ გატარებულმა ერთობლივმა ღონისძიებებმა დადებითი შედეგი გამოიღო და საქართველოში გაშენებულ 30 ათას ჰა. თხილის ნარგავებს შესაძლებელია მარჩენლის სტატუსი დაუბრუნდეს.
2. რეგონების მიხედვით ნორმალურად მოვლილ თხილის ბაღებში 2019 წელს ხარისხობრივი მაჩვენებელი 60-90 %-ის ფარგლებში მერყეობდა, რაც შეეხება საექსპორტო მოსავლიანობას აქ მონაცემები არაერთგვაროვანია. მაის-ივნისის გვალვების შედეგად იქ სადაც ნიადაგის ტენის დეფიციტი დაფიქსირდა აღინიშნა ასაღვარდა ნაყოფების მასობრივი ცვენა, რითაც მოსავლიანობა 30-40 %-ით შემცირდა.
3. ჩვენი სპეციალისტების


დაკვირვებით მაგნებელ აზიური ფაროსანის რაოდენობა თუ 2017 წელს აბოვებამ იყო და ის ას პროცენტს შეადგენდა სახელმწიფოსა და მოსახლეობის აქტიური თანამშრომლობით გატარებული ღონისძიებების საფუძველზე (ქიმიური, მექანიკური) 2018 წელს აზიური ფაროსანის რაოდენობა 60-70%-მდე, ხოლო 2019 წლისათვის 25-30 %-მდე შემცირდა, მომავალ წლებში მისი მინიმუმად შემცირების თვალსაზრისით ქიმიურ და მექანიკურ ღონისძიებებთან ერთად ასევე მნიშვნელოვანი იქნება ბიოლოგიური ბრძოლის ღონისძიებების შემუშავება და პრაქტიკაში დანერგვა.

4. თხილის ბაღებში სერიოზულ ღონისძიებად ისევ რჩება დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობის ამაღლება. უნდა გაითვალისწინოთ, რომ პლანტაციების ფიტო-სანიტარული, გასხვლა გაასაღვარდავებისა და კვების რაციონალური სისტემების განხორციელება მნიშვნელოვანად ამაღლებს მაგნებელ-დაავადებათა წინააღმდეგ გამოყენებული პესტიციდების ეფექტურობას.
5. ფერმერები გლეხები, სათანადო ფინანსური რესურსების უქონლობის გამო სამწუხაროდ ვერ ანხორციელებენ თხილის ბაღებში კალენდარული სქემით ჩასატარებელ სამუშაოს, პესტიციდებისა და სასუქების შეტანას, რისთვისაც მიზანშეწონილი იქნება მათზე წლის დასაწყისში შეღავათიანი აგროკრედიტების გაცემა.
6. საბაზრო ეკონომიკის პირობებში უნდა მოწესრიგდეს თხილის მოსავლის აღების, ჩაბარებისა და რეალიზაციის სფერო. იგი სახელმწიფოს კონტროლს უნდა ექვემდებარებოდეს და არ იყოს მთლიანად დამოკიდებული ზოგიერთი კომპანიების თუ ასოციაციების პირად გადაწყვეტილებებზე.
7. რაც დრო გადის ვრწმუნდებით, რომ თუ ვინდა თხილის პროდუქცია საერთაშორისო სტანდარტებს აკმაყოფილებდეს ამისათვის ზრუნვა წლის პირველი რიცხვებიდან უნდა დაიწყოთ. ამისათვის თხილის კულტურაზე უამრავი საინფორმაციო საშუალებები არსებობს. წიგნების, ბროშურების, ბუკლეტების და ინტერნეტის სახით, თუმცა მკვლევარ სპეციალისტების დახმარებით თითოეული ნაკვეთის დათვალიერება, ნიადაგის ნაყოფიერების შესწავლა და გასხვლა ფორმირების პრაქტიკული ათვისება ყველაზე საუკეთესო გარანტირებული მეთოდია. ამ მხრივ ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევის სამსახური, ნიადაგის სურსათის დიფენსიური ლაბორატორია ბენეფიციარებს სთავაზობს დახმარებასა და მომსახურებას მათთვის აქტიურად საკითხებზე.

ქართული თხილი, რომ რეგონში კონკურენტუნარიანი გახდეს ეს შესაძლებელი იქნება მხოლოდ სახელმწიფოს, კერძო ბიზნესისა და მეცნიერების შეთანხმებული, გააზრებული და კოორდინირებული ქმედების საფუძველზე.

ზაურ ბაბრიძე
ს.მ.მ. დოქტორი პროფესორი
იოსებ ბანილია
ს.მ.მ. დოქტორი
ნიკა გუნიანი
სპეციალისტი მაგისტრანტი
ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების კვლევის სამსახური

პროფესორი ქველი ჩხატარაიშვილი და მისი „ბურია უცხოელის თვალში“



124 წლის წინათ (დღეს157) აღწერილი ეს ცეკვა დღეს ალბათ აღარავის ახსოვს, საჭიროა, გავიკითხოთ იქნებ სადმე შემორჩა მისი მცოდნე ან მახსოვარი,იქნებ მოხერხდეს მისი აღდგენა.

საუზმის შემდეგ სტუმრები და დამხდურები ოზურგეთისკენ გაემგზავრნენ: გზა წიფლის ტყეში გადიოდა.ერთ საათში ტყე დამთავრდა და ოზურგეთიც გამოჩნდა. ქალაქი მომალლო ადგილზე მდებარეობდა. უფრო დაბლა,საიდანაც გზა შედიოდა, ბაზარი იყო, ბაზარში მრავალი წიფლის ხე იდგა.თვითონ ბაზარი რანდენიმე ცალცალკე მდგომი ხის სახლს წარმოადგენდა.ქალაქიში მალეობის ქიმზე (კონცხზე) ეკლესია იდგა.უცხოელი მოგზაურის სიტყვით ოზურგეთი 1862 წელს პატარა დასახლება უფრო იყო,

ვიდრე ქალაქი,თუმცა იგი 1846 წლიდან ქალაქად იყო გამოცხადებული. ქალაქში იდგა დიმიტრი გურიელის სახლი,ირველივე ყვავილებით შემორტყმული და ქუჩიდან ღობით გამოყოფილი.

სახლთან სტუმრებს შეეგება გურულად ჩაცმული და შეიარაღებული ორი მოხდენილი ახალგაზრდა.

დიმიტრი გურიელი ორჯერ იყო ბოლოს-ორი წლის წინათ-პარიზსა და ლონდონში,სადაც შეიძინა ძვირფასი ბრინჯაოს ნივთები, მოვარაყებულჩარჩოიანი სარკეები, ძვირფასი ავეჯი და სახლი ვეროპული კომფორტით მოაწყო, განსაკუთრებით ერთი პატარა ოთახი.ამას დაუმატა მეწყამული ფერის ძვირფასი სპარსული ხალიჩები. თვალისმომჭრელი სითეთრის აბრეშუმით და თავის სახლში ნამდვილი აღმოსავლური ბრწყინვალეობა შექმნა.

დიმიტრი გურიელის საწოლ ოთახში მაგიდაზე იდო ნაპოლეონ III-ისა და ინგლისის დედოფალ ვიქტორიას სადილ-გახშამზე მოსაწვევი ბარათები.დიმიტრი გურიელი მათ ბრწყინვალე ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი სწვევია და საზოგადოების ყურადღება მიუქცევია.

გურიელის საძინებელი ოთახი თავის მორთულობით პატარა სამკაულს ჰგავდა-გარედან ხეთა ჩრდილით დაცული,შიგნით მწვანე შპალ-ერთით მორთული.გვერდით იყო სტუმრების მისაღები ოთახი,სადაც იდგა რამდენიმე რბილი დივანი და ყუიებში

ოთახის მცენარეები,რაც საუკეთესო მოსასვენებლად აქცევდა ამ ოთახს.

დიმიტრი გურიელი სტუმრებთან ლაბიგვარდიის ულანთა პოლკის ოფიცრის ფორმით გამოდიოდა, ხოლო მისი ამაღლა მდიდრულ გურულ ჩაცმულობას ატარებდა,რაც გურიელის გარემოცვას დიდებულ იერს აძლევდა.გურიელთან ამ დროს სტუმრობდა მისი ქვრივი და დესპინე ბაგრატიონი,თავისი ორი ახალგაზრდა ქალიშვილით.

გურიელთან სადილი იყო ვეროპულ სტილზე, ვერცხლის სუფრის ჭურჭლით.პრუსიის პინცი აქებს გურიელის მანერებს, (ქცევის წესებს).

ამის შემდეგ პრუსიის პრინცი კვლავ უბრუნდება გურიელების გარეგნობის აღწერას.მისი სიტყვით, დებულება,რომ შავსა და კასპიის ზღვებს შორის ადამიანთა უმშვენიერესი სახეობა სახლობს,არსად ისე არ დასტურდება,როგორც გურიაში, ოღონდ ეს გურულ მამაკაცებს ეხებაო-აღნიშნავს უცხოელი სტუმარი.ქალები მხოლოდ მაღალი საზოგადოებისანი არიან აქ ლაშაზებო. გურულ მამაკაცზე უმშვენიერეს ვერაფერს ნახეთო და აღწერს მის ტანადობას ძალიანებებს, კანის ფერს, წვეკრს,ბილებს განიერს მკერდს,სწორ თუბიებს, მკლავებს, ჩაცმულობას და შეიარაღებას და აღნიშნავს,რომ მხოლოდ ამის მნახველი ვეროპული გაივებს რა უპირატესობა აქვს კავკასიურ რასას სხვებთან შედარებით.

მისი სიტყვით ეს განსაკუთრებით

თვალში საცემი ყოფილა ოზურგეთის თავადაზნაურთა კაზინოში სტუმართა პატივსაცემად გამართულ ბალზე, რომელსაც 300 კაცი ესწრებოდა. ოზურგეთი ფაქტობრივად ქალაქი არც კია, კაზინო კი აქესო-უკვირს უცხოელს.კაზინოს შენობა მეორე ყოფილა სიდიდით სამაზრო სამმართველოს შენობის შემდეგ.კაზინო იყო ცენტრი მთელი გურიის,მისი წარჩინებული საზოგადოებისარუსი მოხელე აქ მხოლოდ რამდენიმე იყო.ბრწყინვალე ბალი სტუმარს წარუშლელ მოგონებად დარჩენია:კავკასიაში მოგზაურობის დროს ასეთი,რამ არ მინახავს და ამ შთაბეჭდილებას ვერ ფარავსი თვით მოსკოვის კრემლის სასახლეში, რუსეთის იმპერატორის კარზე მოწყობილი ბალის გახსენება:უზარმაზარ დარბაზებში, ბრწყინვალე განათებით და შემეკულობითო.ამის მიზეზი სწორედ გურული მამაკაცებისა და ქალების ეროვნული ჩაცმულობააო. ვეროპაში ოფიცრები და კარის მოხელეები ფორმას, ხოლო ქალები-საბალო ტანსაცმელს საგანგებოდ იცვამენ.გურიაში კი მას ჩვეულებრივ იცვამენ და საზეიმო შემთხვევაში მხოლოდ სამკაულებს უმატებენ. დასავლეთში ადამიანი საზეიმო ვითარებაში სულ სხვადა,ვიდრე ჩვეულებრივ ცხოვრებაში-ლილებშეკრული, გაჭიმული, ფორმალური, აქ კი გზაში, ნადირობაში და სახლში ერთნაირად აცვიათ: ვეროპაში იარაღს ატარებენ განსაკუთრებულ შემთხვევაში აქ კი ყოველთვის.

გაგრძელება, დასაწყისი გაზეთი „ალიონი“ №41

ბალზე სტუმრებმა ფრანგული ცეკვა იცეკვეს.ერისთავის ერთ-ერთ ასულსა და მასრის უფროსის მუდღე ქალბატონ პრინციან (პრინცი მასრის უფროსის გვარი იყო).ბალზე ცეკვავდნენ აფხაზურსა და ლეკურს.ბალი შუაღამემდე გაგრძელდა.

ბალზე მღეროდნენ ოთხმიან სიმღერებს .სიმღერები მელანქოლიური ჰქონდათ, სიმღერის ტერსტი არ გვესმოდა მაგრამ ეს მელიოდის მომხიბვლელობამ დაგვაიწყო-აღნიშნავს სტუმარი. განსაკუთრებით კარგად მღეროდა ორი კაცი და ორი ქალი.ეს სიმღერა კავკასიური მუსიკის ყვავილი იყოო აღტაცებულა პრუსიის პრინცი.


30 ოქტომბერს, დილით გამოშვებულბისას,სტუმრებს ალუბლის სასმელი და მურაბა მიართვეს.გურიის მილიციამ სტუმრებისათვის საჩვენებელი ბრძოლა და ჯირითი მოაწყო.

იმავე დღეს უცხოელმა სტუმრებმა ნივთიში გავლით,სადაც წაბლის ხის ძველი, ხავსით დაფარული ეკლესია ინახულეს.გურია დატოვეს.

პრუსიელი პრინცის მოგონებათა წიგნი იმ დროს საქართველოში მიუწვდენილი მხატვრის ჰორშელტის ფერადი ნახატებითაა დასურათებული. გურიაში მოზაურობისას ჰორშელტს დაუხატავს ერისთავის სახლი გორაზე და გურული მილიციონერის ტიპი. ორივე სურათი ისტორიული თვალსაზრისით მრტად საყურადღებოა.

მოამზადა მანანა ლომაიძე

ბივი ქორიკე ბურიის რეპიონის 2019 წლის ჩემპიონი ჭადრაკში



ლანჩხუთის ჭადრაკის სახლში თითქმის ერთ კვირას გრძელ-დებოდა გურიის რეგიონის რიგით 24-ე ჩემპიონატი ჭადრაკში, რომელშიც ოზურგეთის ჩოხატაურის და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებიდან 29 რჩეული მონაწილეობდა. ჩემპიონატში, გამოცდილ და ტიტულოვან მოჭადრაკეებთან ერთად, ჩართული იყო სასკოლო ასაკის ის მოჭადრაკეები, რომლებმაც გასაკუთრებით გამოიჩინეს თავი საერთაშორისო და რესპუბლიკური მნიშვნელობის ტურნირებში. პირველობა ,რომელიც შეიცარული სისტემით(7 ტურად) ჩატარდა, საჭამიასერელი (ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი) ოსტატობის კანდიდატის გივი ქორიკის გამარჯვებით დამთავრდა. მან ექვსი პარტიის ზედიზედ მოგე-

ბის შემდეგ, ბოლო მე-7-ე ტურში ყაიბი ითამაშა და 6,5 ქულით მეოთხეჯერ (!) გახდა გურიის ჩემპიონი.(მანამდე იგი 2010, 2014 და 2018 წლებში ჩემპიონობდა). 6 ქულით ვიცე-ჩემპიონობა ოზურგეთელმა გიორგი გოგოლაურმა მოიპოვა,მან მხოლოდ ჩემპიონთან დაკარგა ქულა. გურიის ორგზის ჩემპიონმა ტარიელ ხუხუნაიშვილმა, პირველ ტურში თავის მოსწავლესთან-ქეთევან კილასონიასთან მწარე მარცხის მიუხედავად, დარჩენილ 6 პარტიაში ძალები მოიკრიბა და 5,5 ქულით მესამე ადგილი გაინაღდა. ნუგზარ გვარჯალაძემ კი, 5 ქულით მეოთხე საპრიზო ადგილი დაიკავა. 4,5 ქულით მეხუთე ადგილს დასჯერდა ოზურგეთელი გივი სიამაშვილი.

აღსანიშნავია ახალგაზრდების ხარისხიანი და შედეგიანი თამაში. განსაკუთრებულ აღნიშვნას იმსახურებს ლანხუთიდან- მიხეილ აფხაზავა,ლევან კომახიძე, მარიამ ჩხაიძე, ქეთი კილასონია, თენგიზ სტურუა, ლუკა კოხანაშვილი , ჩოხატაურელი ლუკა ქორიძე და ოზურგეთელი ნიკოლოზ ბარამიძე.

წარმატებული მოჭადრაკეები დაჯილდოვდნენ მედლებით, დიპლომებით, ფულადი ჯილდოებით და ფასიანი საჩუქრებით.

ჩემპიონატის დახურვისას, რომელიც ხალმრავალ, საზეიმო ვითარებაში წარიმართა, აღინიშნა ჩემპიონატის მაღალ დონეზე ორგანიზების შესახებ.რაშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მაჟორიტარმა პარლანტარმა ნინო წი-

ლოსანმა.

გურიის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტმა ზურაბ ანდ-ლულაძემ შეეხო რა, რეგიონში ჭადრაკის განვითარების საკითხებს, განსაკუთრებით დადებითად შეაფასა მ/წლის საჭადრაკო სეზონი. აღინიშნა . რეგიონისწარმომადგენლების წარმატებული მონაწილეობა საერთაშორისო და რესპუბლიკურ ჩემპიონატებში და ტურნირებში. ასევე ითქვა საქართველოს საკლუბო ჩემპიონატში . რეგიონის საჭადრაკო კლუბების სტაბილური და ნაყოფიერი მონაწილეობის შესახებ. მოჭადრაკეებმა და ჭადრაკის მოყვარულებმა ინტერესით გაეცნენ ინფორმაციას მომავალი საჭადრაკო სეზონის გეგმებზე და სიახლეებზე.

ოზურგეთის საჭადრაკო კლუბ „ბურიას“ სტუმრად ბამარჯიშვა

ოზურგეთის საჭადრაკო კლუბმა „გურიაში“, საქართველოს საკლუბო ჩემპიონატის მორიგი XV და XVI ტურის მატჩები, სტუმრად ბადიათის „ბადიათთან“ გამართა. ეს კლუბი მთელი სეზონის განმავლობაში სატურნირო ცხრილში მეორე ადგილს ინარჩუნებდა, მაგრამ „ქუთაისთან“ და ფოთის „ნანასთან“ დაკარგული ქულების შეზღვემსავე ადგილზე აღმოჩნდა და მდგომარეობის გამოსასწორებლად, სახლში ოზურგეთელებთან, ორივე მატჩის მოგება სჭირდებოდა. ოზურგეთელები კი, საკმაოდ ძლიერი შემადგენლობის გუნდთან, ყამშუც ყაბულს იყვნენ. 8 დღეაზე გამართულ ორივე მატჩში „გურიაში“ იმარჯვა,კერძოდ პირველი მატჩი 5-3 და მეორე 4,5-3,5 ანგარიშით მოიგეს. ასოლუტური შედეგი აჩვენა გივი სიამაშვილმა,ნიკოლოზ ბარამიძემ და ანდრია კიკაბიძემ. პირველი, შედარებით ადვილად მოგებული მატჩის შემდეგ, გამოორებითი შეხვედრების მიწურულს, 3,0-3,0 ანგარიშზე, ანა მეგრელაძის მოგებამ და ლუკა ლლონტის ყაიძმა, გურულებს გამარჯვება მოუტანა და ჯამში ოთხი ქულა წამოიღეს სახლში. „გურია“ აღნიშნულ, წარმატებულ მატჩებში ასეთი შემადგენლობით გამოვიდა: I დაფა-ღიფთ ციცილაძე (გუნდის კაპიტანი), II დაფა-გივი სიამაშვილი,III- დაფა ლუკა ლლონტი, IV-დაფა-ლუკა ქორიძე, V დაფა-ანა მეგრელაძე, VI დაფა-თენგიზ თითიძე,VII დაფა-ნიკოლოზ ბარამიძე, VII I-დაფა-ანდრია კიკაბიძე.

მორიგ, დასკნით მე-17 და მე-18 ტურში,ოზურგეთელებმა სახლში ამბროლაურის „ამბროლაურს“ უმსაძინებლა.



